საბაზისო ცოდნისა და აღქმის კვლევა, საქართველოს სასამართლო სისტემის შესახებ

კვლევა მომზადებულია სოციალური კვლევების ინსტიტუტის მიერ, გაეროს განვითარების პროგრამის **(UNDP)** "სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერის" პროექტის ფარგლებში

კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით მის ავტორებს და შესაძლოა არ ემთხვეოდეს გაერთიანებული ერების ან გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მოსაზრებებს.

მეთოდოლოგია

- თბილისისა და საქართველოს დიდი ქალაქების მოსახლეობის რაოდენობრივი გამოკითხვა პირისპირ ინტერვიუს მეთოდით.
- კვლევა ჩატარდა 2009 წლის დეკემბერში.
- სულ გამოკითხული იყო 2 800 რესპონდენტი, რომლებიც შეირჩნენ „შემთხვევითი შერჩევის“ მეთოდით.

თბილისი	1 000
ქუთაისი	500
ბათუმი	400
ზუგდიდი	300
გორი	300
თელავი	300

მოსახლეობის გამოკითხვის პირველადი შედეგები

- გამოკითხული რესპონდენტების 79.4% საერთოდ არ ჰქონია შეხება სასამართლო სისტემასთან. იმ რესპონდენტების რაოდენობა კი, რომელთაც რაიმე ფორმით მაინც ჰქონიათ შეხება სასამართლოსთან, შეადგენს 20.6%, მათგან 60.1%-ს სასამართლო სისტემასთან შეხება ჰქონდა 2004 წლის შემდეგ, ხოლო 39.9% - 2004 წლამდე.
- გამოკითხულებს ყველაზე ხშირად შემდეგი სტატუსით ჰქონდათ სასამართლოსთან შეხება: დამსწრის (39.7%), განსასჯელის (25.5%), მოწმის (20.7%).
- სასამართლო პროცესს დასწრებია გამოკითხულთა მხოლოდ 38.7%. მათგან 59.7% 2004 წლის შემდეგ, ხოლო 40.3% 2004 წლამდე.
- სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება რესპონდენტების უმრავლესობამ (67.8%) შეაფასა, როგორც ან სავსებით მისაღები (39.5%) ან ნაწილობრივ მისაღები (28.3%), სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება საერთოდ მიუღებელი გამოკითხულთა მხოლოდ 21.1%-სათვის აღმოჩნდა.

პირველადი შედეგები:

- სასამართლოს შესახებ აზრის ჩამოყალიბების წყაროდ ყველაზე ხშირად (44.2%) რესპონდენტები ასახელებდნენ სატელევიზიო სიუჟეტებს გახმაურებული სასამართლო პროცესების შესახებ. თუმცა, ასევე მნიშვნელოვანი წყაროა ნაცნობი ადამიანების მონაყოლი საკუთარი გამოცდილების შესახებ (26.0%) და პირადი გამოცდილება (18.5%).
- სასამართლო სისტემის მიმართ დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე ყველაზე დიდ გავლენას ახდენს სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, რაც რესპონდენტების 60.7% მიუთითა. ამავე დროს, 17.8%-მა მიუთითა, რომ მათ დამოკიდებულებაზე ყველაზე მეტად გავლენას ახდენს მოსამართლის იმიჯი.
- რესპონდენტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სასამართლო უნდა იყოს დამოუკიდებელი (75.8%). გამოკითხულთა 12.9% მიაჩნია, რომ მას უნდა აკონტროლებდეს ზემდგომი ორგანოები.

პირველადი შედეგები:

- სატელევიზიო სიუჟეტები სასამართლოს შესახებ რესპონდენტებს განაწყობს უფრო დადებითად (60.4%), ვიდრე უარყოფითად (39.6%).
- გამოკითხულთა 63.8% არ სმენია სასამართლო სისტემაში მიმდინარე რეფორმების შესახებ. იმ რესპონდენტებისათვის, რომლებიც ინფორმირებულები იყვნენ რეფორმების შესახებ, ნაცნობი იყო შემდეგი რეფორმები: ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება (64.9%), კორუფციასთან ბრძოლა (13.1%), კადრების შერჩევის და მათი კვალიფიკაციის ამაღლების დახვეწა (7.3%) და მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა (5.8%).
- გამოკითხულთა 80.0% არ სმენია სპიკერ მოსამართლის შესახებ. სასამართლოს მიერ მომზადებული გადაცემები უნახავს 42.8%-ს და მათგან სპიკერის მიერ გაკეთებული კომენტარები 23.2%-სთვის სავსებით მისაღები აღმოჩნდა, ხოლო 66.8%-სთვის ნაწილობრივ მისაღები.

ბოლო დროს გსმენიათ თუ არა რაიმე სასამართლო რეფორმების ახალი ინიციატივების შესახებ?



პირველადი შედეგები:

- გამოკითხულთა აზრით, სახელმწიფოსა და კერძო კომპანიებს შორის არსებული დავებიდან, კერძო კომპანიები იგებენ საშუალოდ 34.2%-ის შემთხვევაში.
- კითხვაზე „რა ღონისძიებებმა შეიძლება გააუმჯობესოს მოქალაქეთა დამოკიდებულება სასამართლოს მიმართ?", გამოკითხულთა 17.6%-მა პასუხი ვერ გასცა. ყველაზე ხშირად რესპონდენტები პასუხობდნენ „სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღება" (25.6%), „იყვნენ მიუკერძოებლები -დამოუკიდებლები" (25.6%), „იყოს ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი" (9.5%) და „სასურველია გატარდეს ახალი რეფორმები" (8.7%).

გსმენიათ თუ არა იმის შესახებ, რომ საქართველოში უნდა ამოქმედდეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო?

საქართველო მთლიანად



- რესპონდენტების 66.1% ფლობს ინფორმაციას, რომ საქართველოში უნდა ამოქმედდეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. ამ მაჩვენებელმა მნიშვნელოვნად მოიმატა 2007 წელთან შედარებით - მაშინ ამ ინფორმაციას ფლობდა გამოკითხულთა მხოლოდ 39.9%.

გსმენიათ თუ არა იმის შესახებ, რომ საქართველოში უნდა ამოქმედდეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო?

რეგიონების მიხედვით



რამდენად გჯერათ, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება წარმატებული იქნება - რეალურად უზრუნველყოფს სასამართლოს მაქსიმალურ დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას?



პირველადი შედეგები - ნაფიცი მსაჯულები:

- გამოკითხულთა მხოლოდ 26.7% იცის, რომ გადაწყვეტილებას ბრალეულობის შესახებ იღებენ მხოლოდ ნაფიცი მსაჯულები (და არა მოსამართლე და/ან ნაფიცი მსაჯულები და მოსამართლე ერთად). ამ პარამეტრმა მნიშვნელოვნად დაიკლო 2007 წელთან შედარებით - მაშინ სწორ ინფორმაციას ფლობდა გამოკითხულთა 42.7%.
- გამოკითხული რესპონდენტების 62.2% არ დათანხმდებოდა ნაფიც მსაჯულად არჩევას. ამასთანავე, 59.4%-მა არ იცის, რომ ნაფიც მსაჯულად სასამართლო პროცესში მონაწილეობის მიღება, საქართველოს მოქალაქის მოქალაქეობრივი ვალდებულებაა, რაც რესპონდენტების 30.1%-სათვის სავსებით მისაღებია, ხოლო 32.4%-სათვის მხოლოდ ნაწილობრივ მისაღები.

პირველადი შედეგები - ნაფიცი მსაჯულები:

- კითხვაზე „რამ შეიძლება გახადოს მოქალაქის მიერ ნაფიც მსაჯულად სასამართლო პროცესში მონაწილეობის მიღება პრესტიჟული?", გამოკითხულთა 21.9%-მა პასუხი ვერ გასცა. ყველაზე ხშირად რესპონდენტები პასუხობდნენ „სასამართლომ მიიღოს სამართლიანი გადაწყვეტილებები" (19.4%) და „სამართლიანობამ" (12.9%).
- გამოკითხულთა უმრავლესობას (83.6%) სჯერა (33.0%), ან ნაწილობრივ სჯერა (50.6%), რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება რეალურად უზრუნველყოფს სასამართლოს დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას.

როგორ დაახასიათებდით ახლანდელ ქართულ სასამართლო სისტემას?

კვალიფიციური — არაკვალიფიციური

არაკორუმპირებული — კორუმპირებული

დამოუკიდებელი — დამოკიდებული

ქმედითი — უუნარო

მთლიანობაში ენდობით თუ არა ქართულ სასამართლოს?



მთლიანობაში ენდობით თუ არა ქართულ სასამართლოს?

რეგიონების მიხედვით



თქვენი აზრით, არის თუ არა საქართველოს სასამართლო სისტემა დამოუკიდებელი ხელისუფლებისგან?



სამი დონის სასამართლოებიდან, რომელი უფრო სამართლიანია?



ქართველი მოსამართლეები იღებენ თუ არა ქრთამის სახით ფულს?



- რასაკვირველია იღებენ
- ალბათ ზოგიერთები იღებენ, მაგრამ უმრავლესობა ვერ ბედავს ფულის აღებას
- ალბათ მხოლოდ ერთეული მოსამართლეები იღებენ ქრთამს
- ფულის აღება საქართველოს სასამართლოებში თითქმის აღარ ხდება

რომელი საინფორმაციო არხებით და რა წილით იღებთ ინფორმაციას მიმდინარე მოვლენების შესახებ?



რამდენად ენდობით საქართველოს ტელევიზიის სხვადასხვა არხებით მოწოდებულ ინფორმაციას?



კავშირები

მთლიანობაში ენდობით თუ არა ქართულ სასამართლოს? * ბოლო დროს გსმენიათ თუ არა რაიმე სასამართლო რეფორმების ახალი ინიციატივის შესახებ?



- რესპონდენტები, რომლებსაც სმენიათ სასამართლოს რეფორმების შესახებ, უფრო ენდობიან სასამართლოს.

კავშირები

მთლიანობაში ენდობით თუ არა ქართულ სასამართლოს? რამდენად გჯერათ, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება წარმატებული იქნება ?



- რესპონდენტები, რომლებიც სასამართლოს ენდობიან, უფრო მოელიან, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება წარმატებული იქნება

კავშირები

მთლიანობაში ენდობით თუ არა ქართულ სასამართლოს? * გინახავთ თუ არა სასამართლოს მიერ მომზადებული გადაცემები?



- ის რესპონდენტები, რომლებსაც უნახავთ სასამართლოს მიერ მომზადებული გადაცემები, უფრო ენდობიან ქართულ სასამართლოს

კავშირები

- სასამართლო პროცესზე დასწრების დრო სტატისტიკურად სანდო კავშირში აღმოჩნდა მოსამართლეების მიერ ქრთამის აღების მოლოდინთან:

  კითხვაზე „საქართველოს სასამართლოებში უფრო ხშირად რის მიხედვით იღებენ მოსამართლეები გადაწყვეტილებას?", 2004 წლამდე სასამართლო პროცესზე დამსწრე რესპონდენთა 12.9%-მა უპასუხა „იმის მიხედვით, თუ ვინ მეტ ფულს გადაუხდის", მაშინ როდესაც 2004 წლის შემდეგ სასამართლოზე დასწრების გამოცდილების მქონეთაგან, ეს პასუხი აირჩია მხოლოდ 4.9%-მა.

დასკვნები:

- გამოკითხულთა ორ მესამედს არ სმენია სასამართლო სისტემაში მიმდინარე რეფორმების შესახებ;
- სასამართლო სისტემაში მიმდინარე რეფორმების შესახებ ყველაზე ნაკლებ ინფორმაციას ფლობდნენ ქუთაისის და თელავის რესპონდენტები. ხოლო ყველაზე მეტად ინფორმირებულები იყვნენენ ზუგდიდის, გორის და თბილისის რესპონდენტები.
- იმ რესპონდენტებისათვის, რომლებიც ინფორმირებულები იყვნენ რეფორმების შესახებ, ნაცნობი იყო შემდეგი რეფორმები: ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება; კორუფციასთან ბრძოლა; კადრების შერჩევის და მათი კვალიფიკაციის ამაღლების დახვეწა; მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა;
- გამოკითხულთა 80.0% არ სმენია სპიკერ მოსამართლის შესახებ;

დასკვნები:

- რესპონდენტების ორი მესამედი ფლობს ინფორმაციას, რომ საქართველოში უნდა ამოქმედდეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. აღსანიშნავია, რომ ამ მაჩვენებელმა მნიშვნელოვნად მოიმატა 2007 წელთან შედარებით - მაშინ ამ ინფორმაციას ფლობდა გამოკითხულთა მხოლოდ ერთი მესამედი;
- საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ ყველაზე ნაკლებად ინფორმირებულები იყვნენ თელავში და ქუთაისში;
- ამავე დროს, საკმაოდ ცოტა გამოკითხულმა იცოდა, რომ გადაწყვეტილებას ბრალეულობის შესახებ მხოლოდ ნაფიცი მსაჯულები (და არა მოსამართლე და/ან ნაფიცი მსაჯულები და მოსამართლე ერთად) იღებენ;

დასკვნები:

- ნახევარზე მეტმა გამოკითხულმა არ იცოდა, რომ ნაფიც მსაჯულად სასამართლო პროცესში მონაწილეობის მიღება, საქართველოს მოქალაქის მოქალაქეობრივი ვალდებულებაა;
- გამოკითხულთა უმრავლესობას სჯერა, ან ნაწილობრივ სჯერა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება რეალურად უზრუნველყოფს სასამართლოს დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას;
- საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება, რომ წარმატებული იქნება, ყველაზე ნაკლებად სჯერათ თელავში (3.0%), ხოლო ყველაზე მეტად - ზუგდიდში (58.8%). იმ რესპონდენტების რაოდენობა, რომელთაც საერთოდ არ სჯერათ რომ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება წარმატებული იქნება, ყველაზე მაღალია თბილისში (12.8%);

დასკვნები:

- სასამართლოზე გარკვეული დამოკიდებულება ყალიბდება „პიარ"-იდან ან უშუალო გამოცდილებიდან. უშუალო გამოცდილებაში შეიძლება ჩავთვალოთ რესპოდენტის ამა თუ იმ სახით მონაწილეობა (ან დასწრება) სასამართლო პროცესში, ასევე მისი ახლობლის მონაწილეობა და გამოცდილების გაზიარება;
- უშუალო მონაწილეობას ახასიათებს უფრო მყარი განწყობა, რომელიც გავლენას ახდენს საერთოდ სასამართლო სისტემის მიმართ დამოკიდებულებაზე ნეგატიურ ან პოზიტიურ კონტექსტში;
- „პიარ"-ი უფრო მეტად ახდენს პოზიტიურ გავლენას მოსახლეობის იმ ნაწილზე, ვისაც უშუალო შეხება ნაკლებად ჰქონია სასამართლოსთან;
- უშუალო გამოცდილება უფრო მყარია და მისი შეცვლა „პიარ"-ით საკმაოდ ძნელია;

დასკვნები:

- რესპონდენტების უმრავლესობა ენდობა ან ნაწილობრივ ენდობა ქართულ სასამართლოს.
- სასამართლო სისტემისადმი ნდობის მაჩვენებელი იცვლება რეგიონების მიხედვით. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ ნდობა ყველაზე მეტია გორსა და ზუგდიდში და ყველაზე ნაკლებია თბილისში.
- ახლანდელ ქართულ სასამართლო სისტემას გამოკითხულები აფასებენ, როგორც უფრო „კვალიფიციურს", მეტ-ნაკლებად „არაკორუმპირებულს" და „ქმედითს", და მეტ-ნაკლებად „დამოკიდებულს".
- რესპონდენტების აზრით, ყველაზე სამართლიანია უზენაესი სასამართლო, ხოლო ყველაზე ნაკლებად სამართლიანი საქალაქო სასამართლო.
- რესპონდენტების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ქრთამის აღება ერთეულ შემთხვევებში, ზოგიერთი მოსამართლის მიერ მაინც ხდება.

დასკვნები:

- სასამართლოს შესახებ აზრის ჩამოყალიბების წყაროდ ყველაზე ხშირად რესპონდენტები ასახელებდნენ სატელევიზიო სიუჟეტებს გახმაურებული სასამართლო პროცესების შესახებ. თუმცა, ასევე მნიშვნელოვანი წყაროა ნაცნობი ადამიანების მონაყოლი საკუთარი გამოცდილების შესახებ და პირადი გამოცდილება;
- სასამართლო სისტემის მიმართ დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე ყველაზე დიდ გავლენას ახდენს სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება;
- სატელევიზიო სიუჟეტები სასამართლოს შესახებ რესპონდენტებს განაწყობს უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად;
- სასამართლოს შესახებ ტელევიზიით ნანახი სიუჟეტები უფრო მეტად დადებითად სასამართლოს მიმართ თელავის და გორის მოსახლეობას განაწყობს;
- სასამართლოს მიერ მომზადებული გადაცემები უნახავს გამოკითხულ რესპონდენტთა თითქმის ნახევარს.